# ზეიმობს მოძმე სომხეთი

**სადღესასწაულოდ** მორთულა საბჭოთა სომხეთის ქალაქები და სოფლები, რესპუბლიკის მშრომელები ეგებებიან ღირსშესანიშნავ დღესასწაულს — რუსეთის შემადგენლობაში სომხეთის შესვლის 150-ე წლისთავს. მეგობრობისა და ძმობის დღესასწაულზე ჩამოვიდა მრავალი სტუმარი — მოკავშირე რესპუბლიკების, რუსეთის ფედერაციის ქალაქების დელეგაციები, საზღვარგარეთის პროგრესული სომხური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა დ. თ. უსტინოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ა. ალიევმა, მოკავშირე რესპუბლიკების, რუსეთის ფედერაციის ქალაქების დელეგაციათა სხვა ხელმძღვანელებმა გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი და გამარჯვების პარკში მემორიალური უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

სახალხო სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში სომეხი ხალხის მიერ მოპოვებული წარმატებებისა და რუსეთის შემადგენლობაში სომხეთის შესვლის 150-ე წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 203 (6258)

15 ოქტომბერი, კვირა. 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან





## საქართველოს 1978 წლის ჩემპიონები


ი. კოსორუკოვა


ჯ. ფოჩხუა


მ. ბოლქვაძე


პ. სურმავა


ლ. სანჟანოვა


ნ. გუმბერიძე


ქ. გუმბა


ი. ვოლკოვი


ვ. ანიკინა


ვ. სუხინენკო


ლ. ჯინჯიხაშვილი


რ. გოზალოვი

# შედეგებს ვერ დავემდურებით

**ჭიათურაში** სამ დღეს გაგრძელდა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზებზე საქართველოს პირად-გუნდური პირველობა, რომელიც კომკავშირის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

ფინალურ ტურნირში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ჭიათურის, ტყიბულის, ზუგდიდის, სამტრედიის, ახალციხის, ხაშურისა და საგარეჯოს ნაკრები გუნდები.

მასპინძლებმა ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის ყველაფერი გააკეთეს — სპორტული ბაზები საუცხოოდ იყო მომზადებული და გაფორმებული, გუნდებს ჰყავდათ მზრუნველი შეფები, რომლებმაც სპორტსმენებს სათანადო პირობები შეუქმნეს მაღალი შედეგების მიღწევისთვის, ხოლო ასპარეზობათა დამთავრების შემდეგ სამახსოვრო საჩუქრები უძღვნეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონატში საერთო პირველი ადგილი დაიკავა თბილისის ნაკრებმა — 2012 ქულა, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ აჭარისა (1252) და ქუთაისის (1153) კოლექტივები.

გუნდებმა და ცალკეულმა სპორტსმენებმა წლევანდელ პირველობაში გაცილებით უკეთესი შედეგები მოიპოვეს, ვიდრე შარშან თბილისში ჩატარებულ ფინალურ ტურნირში. პირველი საფეხურის მრავალჭიდელთა შარშანდელ შეჯიბრებაში გოგონებს შორის გამარჯვებულ სოხუმელ ს. კორშაჩს 122 ქულა ჰქონდა, წლეულს კი თბილისელმა ი. კოსორუკოვამ 135 ქულა მოაგროვა. მეორე საფეხურის მრავალჭიდელ გოგონებში შარშან პნევმატური შაშხანიდან სროლაში მონაწილეთა სუსტი მომზადების გამო ჩემპიონის გამოვლენა არ მოხერხდა. წლეულს ლ. ბოლქვაძემ (აჭარა) 85 ქულას მოუყარა თავი. არც სხვებს ჰქონდათ ურიგო შედეგები. ამ საფეხურზე მოასპარეზე ბიჭებში კვლავ პ. სურმავამ იმარჯვა, ოღონდ ახლა შარშანდელ მაჩვენებელს — 96 ქულას 15 ქულით გადააჭარბა.

მესამე საფეხურზე მოასპარეზე ქალებში ს. გუმბამ გასულ წელს ჩემპიონობა 118 ქულით მოიპოვა. წლევანდელმა ჩემპიონმა ნ. სანჟაპოვამ კი ეს შედეგი 4 ქულით გააუმჯობესა. ამავე საფეხურზე მოასპარეზე ვაჟებში მ. გუმბერიძემ 136 ქულას მოუყარა თავი, რაც ქულით ჭარბობს შარშანდელი ჩემპიონის ე. გორგოძის მაჩვენებელს.

მეოთხე საფეხურის პირველ ასაკობრივ ჯგუფში ქალებში ჩემპიონობა შეინარჩუნა ქ. გუმბამ.


(დასასრული მე-2 გვ.).





# „იმედის სტარტების" მორიგ შეხვედრამდე

**პიონერულ** ბანაკ „არტეკში" 12 დღეს გაგრძელდა III საკავშირო თამაშები — „იმედის სტარტები". მის ფინალურ შეჯიბრებებში ჩვენი ქვეყნის 130 საუკეთესო სპორტული კლასების 3700 გოგონა და ბიჭუნა მონაწილეობდა. მათგან 1459 მშდ „ოქროს" სამკერდე ნიშნოსანი იყო, ხოლო 1638 — „ვერცხლისა".

უმცროს ასაკობრივ ჯგუფში წარმატება წილად ხვდათ ლენინგრადის № 204 სკოლის მეექვსეკლასელებს, რომლებმაც მოიგეს 30 მეტრზე რბენა, სიგრძეზე ხტომა და კროსი. II ადგილი დაიკავეს მოსკოვის ოლქის ქ. ვოსკრესენსკის მე-5 სკოლის ბავშვებმა, ხოლო III — მოსკოვის 75-ე სკოლის მოსწავლეებმა.

უფროს ასაკობრივ ჯგუფში, რომელშიც მეშვიდე და მერვეკლასელები გამოდიოდნენ, ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწიეს ქ. გლაზოვის (უდმურტეთის ასსრ) მე-12 სკოლის ბავშვებმა, მომდევნო ადგილები კი დნეპროპეტროვსკის 57-ე სკოლისა და ჩარჯოუს მე-20 სკოლის აღსაზრდელებმა დაიკავეს.

სოფლის სკოლების სპორტულ კლასებს შორის უძლიერესნი იყვნენ ზაპოროჟიეს ოლქის სოფელ კამენსკოესა და პერმის ოლქის სოფელ უსტ-კაჩკის სკოლების მოსწავლეები.

„იმედის სტარტების" მესამე საკავშირო ფინალური შეჯიბრების მონაწილენი პიონერთა კოცონის მოედანზე შეგროვდნენ, სადაც მოეწყო შეჯიბრებების საზეიმო დახურვა. საზეიმო დახურვას ესწრებოდა არტეკში სტუმრად მყოფი სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტი, საბჭოთა კავშირის გმირი გ. სარაფანოვი.

# ტურისტული სეზონის ფინიშზე

**უჯარმის** მიდამოები ტურიზმის ბევრ მოყვარულს იზიდავს. აქაურობა განსაკუთრებით საამო სანახავია ახლა, როცა მუხის, თხმელისა და წიფლის ხეებით დაფარული ივრის ხეობა შემოდგომის ფერებით აჭრელებულა. შემოდგომის ფერები კიდევ უფრო გაამხიარულა ნაირფერმა კარვებმა, რომლებიც ამ დღეებში იყო გაშლილი — თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტი, ტურისტული კლუბი და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ტურიზმის განყოფილება თავის მორიგ შეკრება-შეჯიბრებას აქ, უჯარმის მიდამოებში ატარებდა.

ეს ღონისძიება კომკავშირის 60 წლისთავს ეძღვნებოდა. შეკრების მონაწილე 36 გუნდმა შესანიშნავად მოაწყო კარვების ქალაქი, ბანაკს ამშვენებდა ნაირგვარი პლაკატები და ლოზუნგები.

შეკრება-შეჯიბრების პირველ დღეს მოეწყო მონაწილეთა საზეიმო აღლუმი, მხატვრული თვითმოქმედების ჩვენება; ჩატარდა კონკურსი კარვების ქალაქის საუკეთესოდ გაფორმებაში. მეორე დღეს კი დაიწყო პროგრამის ყველაზე საინტერესო ღონისძიება — ტურისტული ესტაფეტა. მონაწილეებს უნდა გაერბინათ 500-მეტრიანი ტრასა ბუნებრივი თუ ხელოვნური დაბრკოლებებით. აქ საჭირო იყო თოკის საშუალებით ხეობის გადალახვა, ფეხდაფეხ მდინარის დაძლევა, დაჭაობებულ ადგილზე ჭოკით გადახტომა და სხვა.

საერთო გუნდურ პირველობაში გამარჯვება იზეიმა სავაჭრო კულინარულმა სასწავლებელმა, მეორე იყო დიმიტროვის სახელობის ქარხნის კოლექტივი, ხოლო მესამე — 23-ე პროფტექნიკური სასწავლებელი.

შეკრება-შეჯიბრების პროგრამაში იყო მშდ კომპლექსის ჩაბარებაც.

სამდღიანი შეკრება-შეჯიბრების შემდეგ დაეშვა ამ ღონისძიების ალამი, რაც საზაფხულო ტურისტული სეზონის დახურვას იუწყებოდა.

**თ. ქიქავა,**
(ჩვენი სპეც. კორ.).

უჯარმა.

* * *

**სურათებზე:** წინაღობის გადალახვის მომენტი; მდინარის დაძლევისას; ტურისტულ შეკრება-შეჯიბრებაში გამარჯვებული თბილისის სავაჭრო კულინარული სასწავლებლის გუნდი.

ავტორის ფოტოები.







# შედეგებს ვერ დავემდურებით

მიუხედავად ერთგვარი წინსვლისა, ჩემპიონატმა დაგვანახა, რომ რესპუბლიკის მშდ კომპლექსის მრავალჭიდელთა მომზადებაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. პირველი და მეორე საფეხურის ნიშნოსანი მოზარდები ბურთის ტყორცნაში კვლავ ცუდად გამოვიდნენ, ჭიათურაში სრული გუნდების გამოგზავნა მხოლოდ თბილისმა, აფხაზეთმა და ქუთაისმა შეძლეს. სრული გუნდით გამოვიდნენ ჭიათურის მრავალჭიდელებიც. აჭარა 14-კაციანი კოლექტივით გამოცხადდა. ხაშურის რაიონმა 16 სპორტსმენი ჩამოიყვანა, ახალციხემ — 17, ზუგდიდმა — 13...

ისე, როგორც წინა წლებში, ახლაც მონაწილეთა განსაკუთრებული სიმცირე შეიმჩნეოდა მეოთხე საფეხურის მეორე ასაკობრივ ჯგუფში და მეხუთე საფეხურის მრავალჭიდელ ქალებში. მეოთხე საფეხურის მეორე ასაკობრივ ჯგუფში მხოლოდ სამი ქალი ცდიდა ძალას. მეხუთე საფეხურზე კი ორი ქალი იბრძოდა ჩემპიონობისთვის.

მეორე საფეხურის მრავალჭიდელი გოგონებიდან ფინალამდე მიაღწია სამმა სპორტსმენმა. სამაგიეროდ, სასიხარულო წინსვლაა მეოთხე საფეხურის მეორე ასაკობრივ ჯგუფში მოასპარეზე ვაჟთა შორის. თუ წინა წლებში აქ გამარჯვებისთვის 3-4 კაცი ცდიდა ძალას, ამჟამად 13 სპორტსმენმა მოიყარა თავი.

კვლავ დაბალი იყო შედეგები ხელყუმბარის ტყორცნაში. ქალებში საშუალო მაჩვენებელი 10–15 ქულამდე მერყეობს. მაქსიმუმი 21 ქულა ამ სახეობაში ბათუმელმა ა. პაპიკიანმა აიღო, რომელმაც ხელყუმბარა 35,70 მეტრზე ტყორცნა.

ანალოგიური მდგომარეობაა ვაჟთა შორის. მთელ ტურნირში მხოლოდ მ. გუმბერიძემ და ვ. ვარდანაძემ შეძლეს საწონის 60 მეტრს იქით გადაგდება. სხვა მაჩვენებლები 37-40 მეტრამდე მერყეობდა და მხოლოდ ოთხმა მრავალჭიდელმა „გადააბიჯა“ 50 მეტრს.

პირველი და მეორე საფეხურების ნიშნოსანთა შედეგები კროსში დამაკმაყოფილებელია. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით უფროსი ასაკების მრავალჭიდელებზე, განსაკუთრებით 3000 მეტრზე მორბენლებზე, სადაც ოთხი სპორტსმენი შეუფასებელი დარჩა.

როცა მეორე საფეხურის ნიშნოსნებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ გარემოებას, რომ აქ, როგორც გოგონების, ისე ბიჭების შეჯიბრებაში აგერ მეხუთე ჩემპიონატია თბილისელები გამარჯვებულთა შორის ვერ ხვდებიან. ამჯერად კი ბიჭებმაც და გოგონებმაც „ნული“ მიიღეს.

მეხუთე საფეხურის ნიშნოსნების მომზადებაზე ნაკლებად ზრუნავენ აჭარისა და აფხაზეთის, ქუთაისისა და რუსთავის სპორტკომიტეტები. (აღარას ვამბობთ რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებზე).

ჩემპიონატში სუსტად გამოვიდნენ სამხრეთ ოსეთის, ახალციხის, ხაშურისა და საგარეჯოს კოლექტივები. ხაშურის ნაკრებს ჩათვლა მხოლოდ ოთხმა კაცმა მისცა, საგარეჯოს — ორმა. შედეგები გააუარესა ზუგდიდის გუნდმა. იგი ადრე ექვსეულს მიღმა არ რჩებოდა, ახლა კი მხოლოდ ერთმა გოგონამ მიაღწია ფინიშამდე და ისიც პირველ საფეხურზე. ქალთა შორის თავიანთ გუნდებს მხოლოდ თითო ჩათვლა მისცეს რუსთავის, სამტრედიისა და ახალციხის სპორტსმენებმა. საგარეჯოდან — ვერც ერთმა.

რესპუბლიკურმა პირველობამ ისიც დაგვანახა, რომ ადგილებზე სისტემატურად არ მუშაობენ მშდ სასწავლო ჯგუფები და სექციები. რაიონებს, ქალაქებს სარბიელზე გამოყავთ ნაჩქარევად შეკოწიწებული გუნდები, რომლებშიც თავს უყრიან მძლეოსნობაში, ან ცურვაში მოქმედ სპორტსმენებს.

ზემდგომი ორგანოების მიერ გატარებული მრავალი ღონისძიების მიუხედავად, ბევრ ქალაქში, რაიონში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი მშდ სასწავლო ჯგუფები, რასაც საქართველოს ზონალური პირველობების შედეგები ადასტურებენ. განა მოსათმენია, რომ მესტიისა და ყაზბეგის რაიონები მეოთხე წელია რესპუბლიკურ ტურნირებს თავს არიდებენ? წლეულს ზონალურ პირველობაში ვერ ვიხილეთ დმანისისა და თეთრი წყაროს რაიონების ნაკრები კოლექტივები, ხოლო ამბროლაურის, ადიგენისა და ლანჩხუთის რაიონების მშდ კომპლექსის მრავალჭიდელებმა ზონალურ ტურნირებში ვერც ერთი ჩასათვლელი ქულა ვერ აიღეს. დაბალი იყო ასპინძის, ონის, წულუკიძის, მაიაკოვსკის რაიონების სპორტსმენთა ნადავლი.

აღნიშნული რაიონების სპორტკომიტეტებმა კომკავშირის რაიკომებთან ერთად მეტი კონტროლი უნდა გაუწიონ ფიზკულტურის კოლექტივებში მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადებას.

ახლა წინ არის ყველაზე დიდი სტარტები — სსრ კავშირის ჩემპიონატი, რომელიც 28-31 ოქტომბერს ერევანში გაიმართება. ჩვენი ვალია, შევინარჩუნოთ საქართველოს ნაკრები გუნდის მიერ შარშან თბილისში მოპოვებული წარმატება.

## ტექნიკური შედეგები

**პირველი საფეხური. გოგონები.** ი. კოსორუკოვა (თბილისი) — 135 ქულა, ლ. ჯიბლაძე (აფხაზეთი) — 108, ... ლუსარევა (აჭარა) — 98; **ბიჭები.** პ. ფოჩხუა (გეგეჭკორი) — 106, ს. შოშიაშვილი (...) — 102, ჯ. კვარაცხელია (აფხაზეთი) — 89.

**მეორე საფეხური. გოგონები.** ლ. ბოლქვაძე (აჭარა) — 85, ი. მიროშნიკოვა (ქუთაისი) — 81, ც. ცერცვაძე (ჭიათურა) — 58; **ბიჭები.** პ. სურმავა (გეგეჭკორი) — 111, ვ. კალინინი (ზუგდიდი) — 85. (მესამე პრიზიორი არ გამოვლენილა).

**მესამე საფეხური. ქალიშვილები.** ლ. სანჯაპოვა (თბილისი) — 122, ე. აბრამოვა (აჭარა) — 99, ე. გაბზნია (ტყიბული) — 98; **ჭაბუკები.** მ. გუმბერიძე (თბილისი) — 136, ვ. ვარდანიძე (ქუთაისი) — 129, ს. კაკალიშვილი (აჭარა) — 116.

**მეოთხე საფეხური. პირველი ასაკობრივი ჯგუფი. ქალები.** ქ. გუბა — 133, ტ. მიასოედოვა (ორივე — თბილისი) — 96, მ. მატე (აფხაზეთი) — 86; **ვაჟები.** ი. ვოლკოვი — 139, გ. გორგოძე (ორივე — თბილისი) — 115, ა. ფილევი (აჭარა) — 111.

**მეოთხე საფეხური. მეორე ასაკობრივი ჯგუფი. ქალები.** ვ. ანოკინა (თბილისი) — 87, ტ. პუსტოვიტი (ორივე — თბილისი) — 77, ჭ. ჩუბინიძე (ქუთაისი) — 77; **ვაჟები.** ვ. სუხინენკო (თბილისი) — 102, ა. ალექსეევი (ქუთაისი) — 85, ზ. თავბერიძე (თბილისი) — 85.

**მეხუთე საფეხური. ქალები.** ლ. ჯინჯიხაშვილი (თბილისი) — 73; **ვაჟები.** რ. გოზალოვი (თბილისი) — 101, გ. ძოწენიძე (ტყიბული) — 95, ზ. სართანია (რუსთავი) — 73.

**გ. მძელური,**
**საქართველოს სპორტკომიტეტის მასობრივი ფიზკულტურისა და მშდ კომპლექსის განყოფილების უფროსი.**

## დასასრული

თილონდ ამჯერად მან 133 ქულა მოაგროვა, 6 ქულით მეტი ვიდრე გასულ წელს. ვაჟებში ი. ვოლკოვმა შარშანდელ ჩემპიონზე 11 ქულით უკეთესი შედეგი (139 ქულა) აჩვენა.

მეოთხე საფეხურის მეორე ასაკობრივ ჯგუფში სხვადასხვა მიზეზების გამო მონაწილეობა ვერ მიიღეს ლ. შუმინინამ, ს. ნოვოსელცოვამ, ვ. გავრილმა, ვ. ჭარბაძემ, ხოლო მეხუთე საფეხურზე სარბიელზე ვერ გამოვიდნენ შარშანდელი ჩემპიონები თ. როჟმანოვა და ვ. ჩხაიძე, რამაც ამ საფეხურების ნიშნოსანთა შეჯიბრებას გარკვეული დაღი დაასვა.

წლევანდელ ჩემპიონატში 19 მონაწილემ გადააჭარბა 100-ქულიან ზღვარს. შარშან მხოლოდ თორმეტმა, ეს იმან განაპირობა, რომ გუნდები ამჟამად გაცილებით უკეთ იყვნენ მომზადებულნი ტყვიის სროლასა და ცურვაში.

თუ შარშან ტყვიის სროლაში შეუფასებელი დარჩა 35 სპორტსმენი, წლეულს ეს ციფრი 20-ს არ გაცილებია (თუმცა ესეც ბევრია). 25-ზე მეტმა ნიშნოსანმა ცურვაში სათანრიგო მოთხოვნები შეასრულა. ეს კარგია. მძლეოსნობაში კი თ. ჩიტაძემ მრავალჭიდელებისთვის სარეკორდო შედეგი მოიპოვა: 100 მეტრი 10,5 წამში გაირბინა.

# ყველა ასაკისათვის

**თბილისის** საქარხნო რაიონის კომკავშირისა და ფიზკულტურის კომიტეტების, განათლების განყოფილების, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საბჭოს თაოსნობით ამ რაიონის ბაზებზე მიმდინარეობს სკოლებისა და წარმოებადაწესებულებების ფიზკულტურული კოლექტივების „მცირე ოლიმპიური თამაშები“, რომელიც კომკავშირის 60 წლის იუბილეს ეძღვნება.

ამ ტურნირის საზეიმო გახსნა ამ დღეებში შედგა რაიონის სტადიონ „პიონერზე“. თამაშების საზეიმო ნაწილზე დასასწრებად ათასობით მოზარდი და მშრომელი შეგროვდა.

* * *

**სურათებზე: სპორტსმენთა ჯგუფს მოაქვს დროშა, რომელიც შემდეგ ანძაზე დაამაგრეს და თამაშების გახსნის სიმბოლოდ ააფრიალეს; ხანდაზმულები კროსის დისტანციაზე.**

ვ. ნიჟარაძის ფოტოები.





**თბილისის** სპორტულ ბაზებზე განახლდა საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომლის მეორე ეტაპის შეჯიბრებები ლენინური კომკავშირის 60 წლის იუბილეს ეძღვნება.

დედაქალაქის „ლოკომოტივის“ აუზში მოცურავეები ასპარეზობდნენ. ამ ტურნირის მონაწილეთა უმრავლესობა კომკავშირელები იყვნენ, რომლებიც ყოველი მეტრისთვის თავგამოდებით იბრძოდნენ. აღსანიშნავია, რომ ასეთი მასობრივი სტარტები ამ სახეობაში ჯერ არ გამართულა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ზოგიერთმა სპორტსაზოგადოებამ ცურვის განვითარებისთვის გარკვეული ნაბიჯი გადადგა. (ქალთა შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 27 მონაწილე ცდიდა ძალას, ხოლო ვაჟთა შორის — 55...).

# ერთი ჯგუფის უპირატესობით

განსაკუთრებით ჩამოსხმავალი იყო „განთიადის“ გუნდი. ეს ამ სპორტსაზოგადოების ცურვის სპეციალიზებული სპორტული სკოლის ჯგუფების ნაყოფიერ საქმიანობაზე მეტყველებს, სკოლისა, რომელსაც საკუთარი ბაზა არ გააჩნია და ქარხნების აუზებზე მუშაობს. ამას ვერ ვიტყვით „ლოკომოტივისა“ და „შრომითი რეზერვების“ შესახებ. ერთსაც და მეორესაც თბილისში საკმაოდ კარგი საცურაო აუზები აქვს, შედეგები კი... რკინიგზელებმა სულ 130 ქულა მოაგროვეს, ხოლო „შრომითი რეზერვების“ გუნდმა — 80 და შესაბამისად მათ IV და V ადგილები დაიკავეს. მაშინ, როცა „განთიადის“ სპორტსმენებმა 678 ქულას მოუყარეს თავი. მათ ამ წარმატებას განსაკუთრებით ქალების ხარჯზე მიაღწიეს — თითქმის ყველა გაცურვაში განთიადელებმა იმარჯვეს და საპრიზო ადგილების უმეტესობაც მიიღეს.

მარტო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ამ გუნდის წევრებმა პირველი ხუთი ადგილების დაკავებით 37 ქულა მოაგროვეს, 200 მეტრზე — 33 ქულა და ა. შ.

გუნდურ ჩათვლაში მეორე იყო „ვოდნიკი“ — 176 ქულა. კოლექტივი ამ წარმატებას უნდა უმადლოდეს ნ. მოროზოვს, რომელმაც ხუთი პირველი ადგილი დაიკავა სხვადასხვა დისტანციაზე, ხოლო ერთხელ ფინიშთან მეორე მივიდა.

III ადგილზე გავიდა „ბურევესტნიკი“ — 170 ქულა.

სპარტაკიადის ჩათვლაში მეორე თანრიგის შესაბამისი მაჩვენებლის შედირდა, ქულებს, ... რიცხვი ... უჩვე ... ებს ... ეს ... უმიერგზში, დაიკავებდა ადგილს. ბრძოლების სიმწვავეც ამან განაპირობა. მაგრამ დასამალი არ არის, რომ მთელს ასპარეზობაში ყველა დისტანციაზე უპირატესობა რამდენიმე სპორტსმენის მხარეს იყო და საპრიზო ადგილებიც მათ შორის განაწილდა. მაგალითად, ქალთა შორის ი. გერასიმოვამ, დებმა ლ. და ი. ციბულსკაიებმა, ტ. კოსტარიოვამ, მ. კუჭაიძემ და ს. სოვდაგრიშვილმა მეტოქეებს არაფერი დაუტოვეს. გერასიმოვამ, მაგალითად, სამი გამარჯვება იზეიმა, ორჯერ ფინიშთან მეორე მივიდა, ერთხელაც — მესამე. ლ. ციბულსკაიამ ოთხი პირველი ადგილი დაიკავა.

ვაჟებში ყველა პირველი ადგილი მოროზოვს, რკინიგზელ ხ. ცხვარაშვილს და პ. ერემაძეს („განთიადი“) შორის განაწილდა. მათ დავაში მხოლოდ თითოჯერ ჩაერივნენ განთიადელი გ. აზრუმანოვი და სტუდენტთა გუნდის წევრი ა. იევლევი.

მართალია, სპორტის ოსტატის შედეგი არც ერთ მონაწილეს არ უჩვენებია, რაც ნაგვიანევი სტარტებითაც შეიძლება ავხსნათ, მაგრამ 8 სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და 68 პირველი თანრიგის მაჩვენებელი, ვფიქრობთ, ამ ეტაპზე ურიგო არ არის.

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადებაში საქართველოს მოცურავეებს ჯერჯერობით სახარბიელო მდგომარეობა რომ არა აქვთ, ეს ტაშკენტში გამართულ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადამაც დაადასტურა, მაგრამ თუ საგაისო სტარტამდე დარჩენილ 9 თვეს ჩვენი მწვრთნელები, სპორტსმენები ნაყოფიერად გამოიყენებენ, მდგომარეობის ერთგვარად გამოსწორება მაინც შეიძლება.

## ტექნიკური შედეგები.

**ქალები.** თავისუფალი სტილი. **100 მ.** ი. გერასიმოვა — 1.07,0, ლ. ციბულსკაია — 1.07,4, ტ. კოსტარიოვა (ყველა — „განთიადი“) — 1.10,0; **200 მ.** გერასიმოვა — 2.27,0, ლ. ციბულსკაია — 2.30,6, კოსტარიოვა — 2.37,1; **400 მ.** გერასიმოვა — 5.17,4, ლ. ციბულსკაია — 5.28,1, მ. კუჭაიძე („განთიადი“) — 5.49,0; **800 მ.** ლ. ციბულსკაია — 10.50,5, გერასიმოვა — 11,12,0, კუჭაიძე — 12.15,3 **ბრასი. 100 მ.** ს. სოვდაგრიშვილი — 1.27,6, გერასიმოვა — 1.28,1, ი. კუჩერიოვა (ყველა — „განთიადი“) — 1:28,5; **200 მ.** სოვდაგრიშვილი — 3:04,2, ნ. მოროზოვა („განთიადი“) — 3.11,3, გერასიმოვა — 3.13,0. **ბატერფლაი. 100 მ.** ი. ციბულსკაია („განთიადი“) — 1.13,8, კოსტარიოვა — 1.13,9, ლ. ციბულსკაია — 1.15,5; **200 მ.** კოსტარიოვა — 2.51,0, ი. ციბულსკაია — 2.53,6, ლ. ციბულსკაია — 2.54,0. **გულაღმა. 100 მ.** ლ. ციბულსკაია — 1.14,1, კუჭაიძე — 1.16,1, ი. ციბულსკაია — 1.18,0; **200 მ.** კუჭაიძე — 2. 42,5, ლ. ციბულსკაია — 2.44,5, გერასიმოვა — 2.49,0. **კომპლექსური ცურვა. 200 მ.** ლ. ციბულსკაია — 2.43,0, ი. ციბულსკაია — 2.47,0, სოვდაგრიშვილი — 2.48,2; **400 მ.** ლ. ციბულსკაია — 6.00,6, სოვდაგრიშვილი — 6.26,8, მოროზოვა — 6.22,0; **ესტაფეტა 4X100 მ.** „განთიადი“ — 4.44,8, **კომბინირებული ესტაფეტა 4X100 მ.** „განთიადი“ — 5.16,2;

**ვაჟები.** თავისუფალი სტილი. **100 მ.** მ. მოროზოვი („ვოდნიკი“) — 1 წუთი, გ. შატოხინი — („შრომითი რეზერვები“) — 1.01,6, გ. გოდერძიშვილი („ბურევესტნიკი“) — 1.01,7; **200 მ.** მოროზოვი — 2.10,6, ხ. ცხვარაშვილი („ლოკომოტივი“) — 2.15,0, შატოხინი — 2.18,0; **400 მ.** მოროზოვი — 4.32,0, ცხვარაშვილი — 4.33,2, რ. იაკოვლევი („განთიადი“) — 4.50,5; **1500 მ.** ცხვარაშვილი — 17.58,6, მოროზოვი — 18 წუთი, იაკოვლევი — 19.35,0. **ბრასი. 100 მ.** გ. არზუმანოვი („განთიადი“) — 1.13,6, ა. იევლევი — 1.13,8, გ. კეკელია (ორივე — „ბურევესტნიკი“) — 1.14,3; **200 მ.** იევლევი — 2.43,0, კეკელია — 2.47,5, არზუმანოვი — 2.47,5. **ბატერფლაი. 100 მ.** მოროზოვი — 1.02,9, არზუმანოვი — 1.03,3, გოდერძიშვილი — 1.06,1; **200 მ.** ცხვარაშვილი — 2.27,1, არზუმანოვი — 2.28,5, ბოროდინოვი („განთიადი“) — 2.38,8. **გულაღმა. 100 მ.** პ. ერემაძე — 1.06,4, გ. ფსუტური (ორივე — „განთიადი“) — 1.06,8, ნ. ბაშარული („ბურევესტნიკი“) — 1.07,0; **200 მ.** ერემაძე — 2.23,4, ბაშარული — 2.25,4, ფსუტური — 2.29,8. **კომპლექსური ცურვა. 200 მ.** მოროზოვი — 2.23,9, არზუმანოვი — 2.24,8, ცხვარაშვილი — 2.30,8; **400 მ.** ცხვარაშვილი — 5.15,0, მოროზოვი — 5.20,2, არზუმანოვი — 5.22,4; **ესტაფეტა 4X100 მ.** „ბურევესტნიკი“ — 4.11,3, **4X200 მ.** „განთიადი“ — 9.22,7. **კომბინირებული ესტაფეტა 4X100 მ.** „ბურევესტნიკი“ — 4.29,8.

**ჯ. ბარათაშვილი.**

# საგრშნავი, დღევანდელი და საზვალით

თბილისი, სპორტის სასახლე. 18 ოქტომბერი.

„დინამო" (თბილისი) — „ბრესტი" (ლუბლიანა) 100:89.

„დინამო": ძიძიგური, გარუჩავა (6), გრძელიძე (8), ბიჭიაშვილი (6), ჩიხლაძე (10), ნ. ქორქია (10), დერიუგინი (25), გულდედავა (18), სინჯარაძე (2), პულავსკი (15), ქ. ლომიძე.

„ბრესტი": პაპიჩი (19), ბლაჟნიკი (6), მერკლინი, ვუიაჩიჩი (12), სუბოტიჩი (6), იელოვაცი (34), ტირინგერი, პიპანი (4), კრიჟნარი (6), მუხა (3).

მსაჯები — მ. ქურიძე, გ. ავალიშვილი (ორივე — თბილისი).

კარგა ხნის შესვენების შემდეგ კალათბურთის თბილისელმა მოყვარულებმა ისევ მოიყარეს თავი სპორტის სასახლეში. ახალი საკალათბურთო სეზონის პირველი მატჩისადმი ინტერესი, ოფიციალური იქნება ის თუ ამხანაგური, სავსებით გასაგებია. უკვე მოახლოვდა მორიგი საკავშირო ჩემპიონატი და ამ გრძელი მარათონის სტარტზე, რაღა თქმა უნდა, საინტერესოა, რა ვითარებაა საქართველოს პირველ გუნდში, რისი იმედი შეიძლება გვქონდეს, როგორი ამოცანები შეიძლება დაესახოს კოლექტივს, რომელიც რაღა დასამალია და თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესის შემდეგ ვერა და ველარ გაიმართა წელში. მართალია, მესამე და მეოთხე ადგილები (წინა ორი სეზონის შედეგები) თავისთავად ურიგო არ არის, მაგრამ როცა ამ მაჩვენებლების იქით ბევრი ვერაფერი პერსპექტივა იგრძნობა, როცა შედეგი გუნდის ძალების მაქსიმალური დაძაბვით არის მიღწეული და სახვალიო იმედსაც ერთობ ამქრთალებს, მაინც რჩება უკმარისობის გრძნობა, სინანული, რომ ქართული კალათბურთის დღევანდელი დონე მხარს ვერ უსწორებს ძველ სასახელო ტრადიციასა და ასეთსავე სასახელო შედეგებს. ისიც სათქმელია, რომ სსრ კავშირის ნაკრებში, რომელიც ახლა მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის იბრძვის, არც ერთი კალათბურთელი არ არის თბილისის „დინამოდან", გუნდიდან, რომელსაც ყოველთვის ჰყავდა თავისი წარმომადგენელი (ხშირად რამდენიმეც) მსოფლიო ჩემპიონატსა თუ ოლიმპიურ თამაშებში. რა თქმა უნდა, ასეთი ვითარება შეიძლება ნაკრების ხელმძღვანელობის სუბიექტური მოსაზრებებითაც იყოს განპირობებული, მაგრამ ამ საგანგაშო ფაქტზე თვალის დახუჭვა მაინც არაფერს გვარგებს.

მიზეზი? ის არ შეიძლება ერთი ან ორი იყოს, მაგრამ ძირითადი მომენტების დაძებნა მაინც შესაძლებელია.

პირველი და ალბათ მთავარი: უკანასკნელ წლებში საქართველოს პირველ გუნდს დერიუგინისა და გრძელიძის გარდა არც ერთი პერსპექტიული კალათბურთელი არ შემატებია. ამ მომენტს თავისი, უფრო სერიოზული წანამძღვრები აქვს — ბავშვთა კალათბურთი. მაგრამ ეს უკვე ცალკე სალაპარაკო თემაა. უცნაურია თუნდაც ის, რომ ჭაბუკთა, იუნიორთა თუ ახალგაზრდული გუნდები საკმაო წარმატებით ასპარეზობენ, ოსტატთა გუნდისთვის გამოსადეგი ცალკეული სპორტსმენები კი არ ჩანს. ეტყობა „პატარა" გუნდების მწვრთნელთა ყურადღებაცა და ენერგიაც ტურნირებში წარმატებით გამოსვლისაკენ უფროა მიმართული, ვიდრე ერთი ან ორი, მაგრამ ნამდვილად ძლიერი კალათბურთელის აღსაზრდელად. თუმცა ეს ძალზე რთული საკითხია და რესპუბლიკური ფედერაციაც, ბოლო ხანებში გულიანად რომ მოეკიდა საქმეს, ამაზეც იფიქრებს.

მეორე უშუალოდ თბილისის „დინამოს" ეხება. ერთხელ უკვე ვწერდით და ახლაც გავიმეორებთ: ამ ეტაპზე კოლექტივს ნამდვილად არ შესწევს საიმისო ძალა, რომ რომელიმე ღირსების მედლების, ან უფრო დიდი წარმატებებისთვის იბრძოლოს. არადა, ბოლო ორ სეზონში გუნდს მხოლოდ ამას სთხოვენ, სხვა ყველაფერი წარუმატებლობად ითვლება. აქედან მოდის ყველა ცოდვაც, აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ „დინამოს" ხელმძღვანელობა იძულებულია ხვალინდელ დღეზე ფიქრს თავი აარიდოს და მხოლოდ დღევანდელი დღით იცხოვროს. ჩემპიონატში, სადაც თითოეული ქულა გაახლოებს ან გაშორებს საპრიზო სამეულს, სადაც თითოეული მატჩი შედეგითაა ფასობს, ექსპერიმენტების, ახალგაზრდა კალათბურთელების გამოცდის დრო აღარ რჩება.

ლუბლიანელ კალათბურთელებთან მატჩი იმითაც იყო საინტერესო, რომ „ბრესტი" ერთ-ერთი ძლიერი იუგოსლავიური გუნდია. ეს კი უკვე ბევრს ნიშნავს.

გუშინწინდელ შეხვედრაში სტუმართა რიგებში თამაშობდნენ ისეთი აღიარებული ოსტატები, როგორიც არიან იელოვაცი (206 სმ), პაპიჩი, ვუიაჩიჩი, სუბოტიჩი (201). ცენტრალური თავდამსხმელი იელოვაცი 10 წლის განმავლობაში იუგოსლავიის ნაკრების ღირსებას იცავდა. შარშანდელ სეზონში მან თავის კოლექტივს 607 ქულა შესძინა. „დინამო" თავისი ლიდერის მიხეილ ქორქიას გარეშე გამოვიდა მოედანზე.

მკითხველმა უკვე იცის ამ მატჩის ანგარიში, ისიც იცის, რომ იელოვაცმა 34 ქულა მოაგროვა, დერიუგინმა — 25. იმის თქმაც შეიძლება, რომ თბილისელებს მაინცდამაინც არ გასჭირვებიათ გამარჯვება, მაგრამ ორთაბრძოლის ის ორმოცი წუთი, ზემოხსენებულს თუ გავითვალისწინებთ, სხვა რამით არის საინტერესო.

ერთი [illegible] ამხანაგური მატჩი, ბუნებრივია, ამომწურავ პასუხს ვერ გაგვცემს, მაგრამ თუნდაც ერთი ახალბედა კალათბურთელის კახა ლომიძის გამოჩენა იმედს იძლევა, რომ კოლექტივი წლეულს გაბედული ექსპერიმენტების გზით წავა. გონიერება მოითხოვს და ალბათ სწორიც იქნება, თუ გუნდის მწვრთნელებს ლევან მოსეშვილსა და ამირან სხიერელს ამ საქმიანობაში ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდება.

ი. ბერიაშვილი.

**რედაქციისაგან:** გუშინწინდელი მატჩის წინ მოხდა ინციდენტი, რომელიც უთუოდ სცილდება კულისებსმიღმა შემთხვევის ფარგლებს და რომელზეც აუცილებლად უნდა ითქვას.

მკითხველისათვის ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ „დინამოსა" და „ბრესტის" შეხვედრის ამ ანგარიშს არ ახლავს ფოტომასალა. მიზეზი კურიოზულია: გაზეთის ფოტოკორესპონდენტი არ შეუშვეს სარბიელზე. ამ შემთხვევაზე იქნებ შეიძლებოდა კიდეც თვალის დახუჭვა, ის რომ ერთადერთი, თუნდაც მცირე გამონაკლისი იყოს.

უთუოდ გაოცდებიან, როგორ, სპორტის სასახლის სარბიელზე არ უშვებენ კაცს, რომელიც სპორტს ემსახურება, რომლის ფოტოებს ვინ იცის, რა ინტერესით ელოდება ათიათასობით გულშემატკივარი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რომლისთვისაც უბრალოდ რომ ვთქვათ, სპორტის სასახლის სარბიელი ჩვეულებრივი სამუშაო ადგილია? გაოცდებიან, მაგრამ რას იზამ, ფაქტი ფაქტად რჩება.

სპორტული ჟურნალისტების „კანონგარეშე" გამოცხადების უცნაური ტენდენცია რატომღაც ღრმად დამკვიდრდა დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე. „დინამოს" სტადიონზე გამართული მატჩების შემდეგ მოწყობილ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტი ვერ მოხვდება, თუ იგი მატჩის ბოლო წუთებამდე შემორჩა ტრიბუნას — შეხვედრის დასრულებისთანავე იგმანება რკინის გაუვალი კარი. ვერც პირადობის მოწმობა, ვერც სხვა საგანგებო საშვი საქმეს ვერ შველის.

## კალათბურთი

### საბჭოთა გუნდი ფინალშია

ამ მატჩში გამარჯვებული ფინალის საგზურს იღებდა. პირველ ტაიმში ბრძოლა ძალზე დაძაბული იყო, უპირატესობა ხან ერთ, ხან მეორე მეტოქის მხარეს გადადიოდა, მხოლოდ შესვენების წინ მოახერხა სსრ კავშირის ნაკრებმა დაწინაურება. ამ შეხვედრაში ისევ კარგად თამაშობდნენ ტკაჩენკო (მის ანგარიშზე 20 ქულაა) და ვეტერანი ჟარმუხამედოვი (18). საბოლოოდ გაიმარჯვეს საბჭოთა კალათბურთელებმა — 94:85.

ახლა ბრაზილიელები მესამე ადგილისათვის ეთამაშებიან იტალიელებს, რომლებმაც ამ დღეს დაამარცხეს კანადელი კალათბურთელები — 100:83 (46:47). აი დანარჩენი შეხვედრების შედეგები: იუგოსლავია — ავსტრალია 105:101 (56:41), აშშ — ფილიპინები 100:70 (50:36). ამგვარად V-VI ადგილებისათვის იბრძოლებენ აშშ-სა და კანადის გუნდები, VII-VIII-თვის ავსტრალია და ფილიპინები.

## მოტოსპორტი

**ლვოვის** მიდამოებში გაიმართა მოტოკროსში საკავშირო ჩემპიონატის მესამე, დასკვნითი ეტაპის შეჯიბრებები, რომლებშიც მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 100-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.

125 კბ-სმ-ს მოცულობისძრავიანი მანქანების რბოლაში ოქროს მედალი წილად ხვდა ლენინგრადელ პ. რულიოვს, ხოლო 250-ანებით ასპარეზობა მოიგო კალინინგრადელმა ვ. კორნეევმა. ლენინგრადელი სპორტსმენის ა. ბოჩკოვის გამარჯვებით დამთავრდა 500-ანებით შეჯიბრება.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ლენინგრადის, უკრაინისა და ესტონეთის კოლექტივები.

## ხელბურთი

**პლოვდივში** გაიმართა ევროპის თასების მფლობელთა თასის პირველი მეთექვსმეტედფინალური შეხვედრა ხელბურთში ვაჟთა გუნდებისთვის. ბულგარეთის „თრაკიამ" დამასპინძლა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს და დამარცხდა — 23:29. ამ კოლექტივების განმეორებითი მატჩი 19 ოქტომბერს მოსკოვში ჩატარდება.





# მთამსვლელთა სამჭედლოში

**მაღლა,** მთებში მერცხლის ბუდესავით აკრულა ლენტეხის რაიონის სოფელი ყორულდაში. თავს მარადთოვლიანი მწვერვალები „ვახუშტი", აილამა, წურუნგალა და ცანა გადმოჰყურებს. სწორედ ამ მწვერვალებსა და სოფელ ყორულდაშს შორისაა მოქცეული ალპინისტთა სამჭედლო — მთამსვლელთა ბანაკი „აილამა".

ვის არ ნახავთ აქ, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ მთამსვლელებსა თუ უცხოელ ალპინისტებს. მათ შორის იაპონიის, საფრანგეთის, გფრ-ის, გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, აშშ-ის წარმომადგენლებს.

და მაინც, „აილამას" ძირითადი სტუმრები საბჭოთა მთამსვლელები არიან. ბანაკში ყოველწლიურად 600-ზე მეტი კაცი ჩამოდის. არიან გამოცდილებიც და ახალბედებიც. ზოგი მათგანი აქ იპყრობს თავის პირველ მწვერვალს. ზოგი ნათლობას იღებს ყველაზე იოლად დასამორჩილებელ, პირველი კატეგორიის სირთულის მწვერვალებზე: ცანაზე, დადიაშზე, „ეგნატე ნინოშვილზე"... ამის შემდეგ ახალბედებს ახალბედები აღარ ეთქმით, რადგან „სსრ კავშირის ალპინისტის" სამკერდე ნიშანს ღებულობენ თავის მოწმობასთან ერთად და უფრო რთულ, მე-2, მე-3 კატეგორიის სირთულის მწვერვალებს: „ვახუშტის" „კოტე მარჯანიშვილს", ძებნას, ნამყვანს, „ოქროს ჩარდახს" და სხვებს იპყრობენ. მაღალკვალიფიციურ ალპინისტებს კი გორომზი შხარასა და ჯანღას მასივის მწვერვალები, რუსთაველის პიკი, აილამა და სხვები ელით.

ოცი დღის განმავლობაში, ახალბედებიც და თანრიგოსნებიც გადიან თეორიულ მეცადინეობას. ვარჯიშობენ ყინულოვან ფერდობებზე, ნაშალ თუ სალ კლდეებზე. თავისუფალ დროს კი ერთმანეთს ეჯიბრებიან ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში.

სპორტული მოედნების მოწყობას არც „აილამას" ფილიალში ივიწყებენ, რომლის მშენებლობაც თითქმის დამთავრებულია. ფილიალი ზესხოს ულამაზეს ხეობაში, ტყით შემოჯარულ ველზე მდებარეობს.

როცა ეს ფილიალი მთლიანად შევა მწყობრში, „აილამას" გამტარუნარიანობა ერთ ცვლაში 200 კაცამდე მიაღწევს.

ახლა მთამსვლური სეზონი იწურება. „აილამა" ემშვიდობება ალპინისტებს, რათა გაისად კვლავ ფართოდ გაუღოს კარი გორომზი და ამავე დროს მომხიბლავი მწვერვალების დასალაშქრავად ჩამოსულ მთამსვლელებს.

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** „აილამას" სასწავლო ნაწილის უფროსი ნ. ნიგურიანი (მარჯვნიდან მეორე) მთამსვლელთა ჯგუფთან ერთად; ცენტრალური კავკასიონის ერთ-ერთი ნაწილი სამხრეთიდან; სადილი მთაში; ლვოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ნ. ლუზინა; ჯ. გუგავა (ზემოთ) კლდოვან მონაკვეთზე ავარჯიშებს ლვოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტის პედაგოგ პ. იაკობჩუკს.

ფ. კრიმსკისა და გ. გერსამიას (საქინფორმი) ფოტოები.







## ფეხბურთი

**გუშინ** ვოროშილოვგრადში გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი ადგილობრივ „ზარიასა“ და თბილისის „დინამოს“ შორის.

მატჩი მოიგეს თბილისელებმა — 2:1. ბურთები გაიტანეს მ. მაჩაიძემ და ყიფიანმა (11-მეტრიანით). დუბლიორთა შეხვედრაც თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:1.

### რუმინეთი

4 ტურის შემდეგ 8 8 ქულა აქვთ „სტეაუას“ (ბუქარესტი) და „არგეშს“ (პიტეშტი). პიტეშტელებმა მოიგეს „ბაირას“ (მარე) — 2:1, რომელიც აქამდე ასევე დაუმარცხებლად იბრძოდა. არმიელთა კლუბი „სტეაუა“ სტუმრად თამაშობდა „უტ არადთან“ და გაიმარჯვა — 3:1.

### გდრ

4 ტურის შემდეგ 4 მოგებით ლიდერობს ბერლინის „დინამო“. ბოლო შეხვედრა მას ჰქონდა ცვიკაუში „ზაქსენრინგთან“ და გაიმარჯვა — 1:0. დრეზდენის „დინამო“ ლიდერს 1 ქულით ჩამორჩა, მას შემდეგ რაც სტუმრად ფრედ (2:2) ითამაშა ადგილობრივ „ვისმუტთან“. ასევე 7 ქულა მოაგროვა რიეზას „შტალმა“.

### იუგოსლავია

VI ტურში ლიდერმა „ცრვენა ზვეზდამ“ (ბელგრადი) ფრედ ითამაშა „ოფკ ბელგრადთან“ — 2:2. იგი 9 ქულით კვლავ ლიდერობს.

### ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, პოლონეთი

ჩემპიონმა — „პარტიზანმა“ ასევე ფრედ (0:0) ითამაშა ნიშში ადგილობრივ „რადნიჩკისთან“ და ახლა 6 ქულა აქვს. 5 რიგითი წაგების შემდეგ პირველი ქულა მოიპოვა ლიუბლიანის „ოლიმპიამ“, რომელიც ზაგრებში შეხვდა ადგილობრივ „დინამოს“ — 2:2.

# მოულოდნელი ჩემპიონი — „გუარანი“

**ასეთი** სენსაციური შედეგით ბრაზილიის არც ერთი ჩემპიონატი არ დამთავრებულა. ამ პირველობაზე, რომლის დასკვნით ნაწილში რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულუს სახელგანთქმული კლუბები თამაშობდნენ, გამარჯვება დარჩა გუნდს, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ უცნობი იყო სამხრეთ ამერიკის საფეხბურთო სამყაროში.

როდესაც მრავალსაფეხურიანი ჯგუფური ტურნირები დამთავრდა, ჩემპიონობაზე პრეტენზიას 2 გუნდი აცხადებდა: სან-პაულუს „პალმეირასი“ და კამპინასის „გუარანი“. „პალმეირასი“ ადრეც ყოფილა ბრაზილიის ჩემპიონი (მას ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ბრანდაო უდგას სათავეში).

კამპინასი საკმაოდ მოზრდილი ქალაქია. იგი სან-პაულუდან 95 კილომეტრითაა დაშორებული.

ჩემპიონის საკითხი 2 მატჩს უნდა გადაეწყვიტა, ჯერ სან-პაულუში, შემდეგ — კამპინასში. ფავორიტად, რა თქმა უნდა, „პალმეირასი“ ითვლებოდა, მაგრამ...

პირველ მატჩს „მორუმბის“ სტადიონზე 100 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. „პალმეირასი“ ბევრს ეცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა. თამაშის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც მასპინძლების კარში 11-მეტრიანი დარტყმით გაიტანა ზენონმა.

მეორე მატჩი კამპინასში ასევე „გუარანის“ უპირატესობით აღინიშნა. აქ თამაში იმავე ანგარიშით დასრულდა, ამასთან გოლი მასპინძელთა 17 წლის ცენტრფორვარდმა კარეკამ გაიტანა. 2 დამარცხების შემდეგ „პალმეირასის“ მწვრთნელმა ბრანდაომ აღნიშნა, რომ პროვინციული კლუბის წარმატება მოულოდნელი, მაგრამ სავსებით დამსახურებულია. მიმომხილველებმა ისიც გაიხსენეს, რომ შესარჩევ თამაშებში ახალმა ჩემპიონმა 2 მარცხი აგემა ისეთ ცნობილ კლუბს, როგორიც „ვასკო და გამა“ გახლავთ.

„გუარანის“ შემადგენლობაში თამაშობენ: ნენეკა (30 წლის), მაურო (22), გომესი (22), ედსონი (26), მირანდა (20), ზე კარლოსი (33), ზენონი (23), რენატო (21), კაპიტაო (23), კარეკა (17), ბოცო (24).

ამ ფეხბურთელთა უმრავლესობა ადგილობრივია. ისინი „გუარანის“ კლუბთან არსებულ სკოლაში სწავლობდნენ, რომელიც 1911 წლიდან არსებობს. მასში 14-17 წლის ყმაწვილები მეცადინეობენ და საუკეთესოები „გუარანის“ პირველ გუნდში გადაჰყავთ.

ჩემპიონის წოდების მოპოვების შემდეგ ქალაქმა კამპინასმა რამდენიმე დღე იზეიმა. ახლა „გუარანის“ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასზე („კოპა ლიბერტადორესი“) მონაწილეობა მოელის.

**გ. თორელი.**

# მე, ბებია, ილიკო, ილარიონი და სხვები

ფელეტონი

**ზურიკელა** არ გეგონოთ, ნოდარ დუმბაძის წიგნში თავის ამბავს რომ ჰყვება. მე თინიკო ვარ, მეექვსეკლასელი გოგონა. საოცარი დამთხვევაა: ერთ ბინაში ვცხოვრობთ მე, ბებია, ილიკო და ილარიონი. მშობლები შორეულ ქვეყანაში არიან გრძელვადიანი მივლინებით. ბებია მამაჩემის დედაა, ილიკო დედაჩემის მამა, ილარიონი კი სულ ახლახანს ჩასახლდა ჩვენს ოჯახში, დედაჩემის ბაბუის ნათლული ყოფილა. რაიონის ჩემპიონი რომ გავხდი, ეს მოუმიზეზებია და ჩვენთან შემოხიზნულა. ილარიონს ხშირად უთქვამს:

— ბიძიკო, სოფელში ჩემს მეტი არავინ დარჩა, საცაა მიქელ-გაბრიელი მომიკაკუნებს და იმ უკაცრიელ ადგილას ჩემი საიქიოს გამსტუმრებელი კაცი არ დარჩა, ამიტომაც მოვაშურე თქვენსკენ. ვიფიქრე, რაიონის ჩემპიონის, სასახელო გოგონას გვერდით ვიტრიალებ, რა ვიცი, როგორი სასიქადულო, საქვეყნოდ დაფასებული ქალი დადგეს და მეც გავერევი მარაქაში-მეთქი.

ყველაფერი კი სულ უბრალოდ დაიწყო. ერთ დღეს მამამ სადალაქოში წასვლა დააპირა. შინ არავინ იყო და მეც თან გამიყოლა. სანამ მამას კრეჭდნენ, ორი ხელოსანი შაშის დაფას მიჯდომოდა და გაცხარებით თამაშობდა. ისე დასცხეს ერთმანეთს, ეტყობოდათ, დიდიხნის ჯიბრი ჰქონდათ. მამას ბევრი სათამაშო ჰქონდა შინ და სტუმრები რომ შეიკრიბებოდნენ, ვინ ჭადრაკით, ნარდით და დომინოთი ერთობოდა. შაშს ილიკო ბაბუა თუ მიუჯდებოდა სათამაშოდ. მე უფრო მონარდეების პაექრობა მიზიდავდა, რაღაც რაინდული და დარდიმანდული მეჩვენებოდა.

და აი, სადალაქოში გამართულმა ბრძოლამ ისე გამიტაცა, სიზმარსა თუ ცხადში სულ შაში მელანდებოდა.

სკოლაში შაშის სექციაში ჩავეწერე, გაკვეთილების მომზადებას რომ მოვრჩებოდი, ოთახში ჩავიკეტებოდი, წინ დაფას დავიდებდი და შაშის სახელმძღვანელოს ჩავკირკიტებდი. მოკლე დროში ამ თამაშს ისე კარგად დავეუფლე, ჯერ სკოლის, მერე რაიონის ჩემპიონობა მოვიპოვე.

ქალაქის ჩემპიონი რომ გავხდი, სკოლაში საზეიმო შეხვედრა მომიწყვეს. თანასკოლელებისა და პედაგოგების გარდა, აქ იყვნენ ბებია, ილიკო და ილარიონი. შინისკენ სულ კოცნა-კოცნით და კრიმანჭულით მიმარბენინებდნენ. მას შემდეგ ჩემთვის აღარ უთქვამთ, გაკვეთილებს მიხედეო, სულ ჩამჩიჩინებდნენ, შაშის სექციაზე არ დაგაგვიანდეს, დამავლებდნენ ხელს და სავარჯიშოდ მიჰყავდი ბებიას, ილიკოსა და ილარიონს.

ჩემმა სპორტულმა წარმატებებმა თანასკოლელი გოგონებიც დააინტერესა და ბარე ოცი გოგონა ჩაეწერა სექციაში.

ერთხელ ჩვენი რაიონის გუნდი მეზობელი ქალაქის ნაკრებს ხვდებოდა. ჩვენებმა სიგანგებოდ მომრთეს და ასპარეზობის სანახავად წამოვიდნენ. იმ დღეს გულშემატკივრები მე მყავდა მხოლოდ. პარტია რომ მოვიგე, ბებიამ, ილიკომ და ილარიონმა ისეთი ამბავი ატეხეს, რომ შეხვედრა კინაღამ ჩაიშალა. ეს ამბავი ალბათ გახმაურდა, რადგან მორიგ ტურნირს ბებიას, ილიკოსა და ილარიონს გარდა სხვა მონაწილეთა მშობლები, ბებიები, ბაბუები და სხვა ახლობლები დაესწრნენ.

არდადეგები რომ დადგა, ჩვენი რაიონის ნაკრები გუნდი სათამაშოდ სხვა ქალაქში მიიწვიეს. ათ მოშაშეს ხუთი ამდენი გულშემატკივარი გაგვყვა. მთელი ვაგონი ჩვენ გვეკავა და უნდა გენახათ, რა ამბავი იყო. ერთმანეთში საუბრობდნენ თუ კამათობდნენ მშობლები, ბებიები, ბაბუები, სხვა ნათესავები. ყველა თავისიანს აქებდა, ადიდებდა, ბოლო კუპეში კინაღამ აყალმაყალი ატყდა იმის თაობაზე, რომელი უფრო ძლიერი იყო, ნათელა თუ ხათუნა.

მასპინძელი ქალაქის პატარა საჭადრაკო ოთახმა, სადაც შეჯიბრება უნდა გამართულიყო, ყველა რომ ვერ დაიტია, უნდა გენახათ, მშობლებს, ბაბუებს, ბებიებს და სხვებს, რა ამბავი ჰქონდათ, სკამებზე რომ მოკალათებულიყვნენ.

პირველი, ვინც თანაგუნდელებიდან დამარცხდა ხათუნა იყო. არ ვიცი, რა მოუვიდა, უხეიროდ კი ითამაშა. დარბაზში ზლუქუნი ატყდა. ხათუნას დედა ტიროდა, მას ბაბუამისი, ბიძამისი და თქვენ წარმოიდგინეთ, ბიცოლაც კი აჰყვნენ. მომტირალები რომ ვერ დააშვიდეს, შეჯიბრების ორგანიზატორებმა ისინი ძალით გაიყვანეს ოთახიდან... ჩემი საქმე კარგად აეწყო. მეტოქემ რომ გამარჯვება მომილოცა, ილიკომ „ვაშა“ დასჭექა, ილარიონი სცენაზე ამოხტა, ბებია სიხარულისგან სკამიდან გადმოვარდა. სირცხვილისაგან კინაღამ დავიწვი.

მატჩი მოვიგეთ. შინისაკენ ისევ მატარებლით გამოვემგზავრეთ. უნდა გენახათ, ვაგონში რა ღრიანცელი იყო. გამარჯვების ნიშნად უფროსებს ღვინო და ხორაგი ამოეტანათ, შუაღამემდე სვამდნენ. ერთ კუპეში ჩხუბიც კი ატყდა და ამ დროს ბედად მატარებლის გამყოლ მილიციის მუშაკებს რომ არ გამოევლოთ, ვინ იცის, რა მოხდებოდა.

გუნდში ყველაზე კარგი შედეგები მე მქონდა. ვგრძნობდი, მაგრამ არ ვიმჩნევდი. პირველმა ვინც ამის თაობაზე ხმა აიმაღლა, ილარიონი იყო. ნეტავ ვინ ეკითხებოდა? შაშის სექციის ხელმძღვანელს კატეგორიულად განუცხადა, ჩემი სურათი ფიზკულტურელთა კედლის გაზეთში ყველაზე თვალსაჩინო ადგილას მოეთავსებინა. ასეც მოხდა. უნდა გამოგიტყდეთ, იმ დღის შემდეგ სკოლის დერეფნის იმ მხარეს აღარ გამივლია, სადაც კედლის გაზეთი იყო გაკრული.

ყველაზე უჩვეულო ამბავი კი მაშინ მოხდა, როცა ჩვენი სკოლის ნაკრებმა საკავშირო ასპარეზობის ფინალის საგზური დაიმსახურა და გუნდი მოსკოვში გასამგზავრებლად მოემზადა. მოშაშეთა მშობლებმა და სხვა ნათესავებმა საერთო კრება მოიწვიეს, რომელსაც ჩვენი მწვრთნელები რატომღაც არ დაასწრეს. უნდა დაედგინათ, ვინ რომელ დაფაზე ითამაშებდა და სწორედ ამ „დაფებზე“ გაჩაღდა ცხარე ბრძოლა. ყველა თავისას ქაჩავდა. ხათუნას მამის აზრით, მის ქალიშვილს პირველ დაფაზე უნდა ეთამაშა, რამაც თურმე დიდი კამათი გამოიწვია. ილიკოს და ილარიონს ხათუნას მამა ტრიბუნიდან ჩამოუგდიათ, ამის მნახველ ბებიაჩემს გული წასვლია და კინაღამ კრება ჩაშლილა.

მწვრთნელები სასტიკ დღეში იყვნენ. იყო ერთი ტელეფონით რეკვა და სხვადასხვა ოფიციალური თუ პირადი წერილების ფრიალ-ფრიალი. თანაგუნდელების მშობლები, ბებიები თუ ბაბუები ვის არ აწუხებდნენ, რა ხერხს არ მიმართავდნენ, რომ მათი კერპი გუნდის წევრთა სიის ზემო ნაწილში მოხვედრილიყო. ასე იყო თუ ისე, ჩვენს კოლექტივში სამი ისეთი მოთამაშე მოხვდა, რომელთაც ამ თამაშის ინჩიბინჩი არ გაეგებოდა.

მწვრთნელები მთლად დაიბნენ. არავის წყენა არ უნდოდათ და ბოლოს დანებდნენ ბებიებსა და ბაბუებს.

მოსკოვში გამგზავრების დღეც დადგა. ათ მოშაშეს ორმოცდაათი „ზედამხედველი“ უნდა გაგვყოლოდა. ჩვენს რეისზე ავიაბილეთების შეძენა „გულშემატკივრებს“ გაუძნელდათ. წარმოიდგინეთ ერთ რეისზე 50 ბილეთის შოვნა და ისიც ზაფხულის ცხარე სეზონის დროს. აეროპორტში გამგზავრებამდე ორი საათით ადრე ყველა შევგროვდით — მოშაშეებიც და გულშემატკივრებიც. ილიკო და ილარიონი შორიდან მილიმოდნენ. ბებიას ჯავრი მქონდა. გამგზავრების წინადღეს წნევამ აუწია და მისი ავიაბილეთი ვიღაც ბედნიერს ხვდა წილად. არ ჩანდა მხოლოდ გუნდის უფროსი მწვრთნელი.

ისე მოხდა, რომ გუნდის გულშემატკივრები ჩვენზე ადრე ჩასხდნენ თვითმფრინავში და მოსკოვისკენ აიღეს გეზი. ამ დროს ქოშინით ჩვენი უფროსი მწვრთნელი მოიჭრა და აღელვებულმა განაცხადა:

— ნახევარი საათის წინ მოვიდა დეპეშა. შეჯიბრება მოსკოვიდან ალმა-ათაში გადაუტანიათ.

მწვრთნელმა ალმა-ათის ბილეთები რის ვაივაგლახით იშოვნა.

...მასპინძელი ქალაქი გულთბილად შეგვხვდა. აეროპორტში თანატოლი გოგო-ბიჭები დაგვხვდნენ ყვავილების თაიგულებით. მეორე დღეს შეჯიბრება დაიწყო. დღეში ორ ტურს ვატარებდით. ოთხ მეტოქეს ფარ-ხმალი დავაყრევინეთ და პირველობა გავინაღდეთ. ყველაფერი მშვიდად, ყოველგვარი ალიაქოთის გარეშე ჩატარდა. არც ბებიას შეწუხებია გული და არც ილიკოსთანა გულშემწეებს მოუღერია მუშტი.

გამარჯვებულებს აეროპორტში თანასკოლელები დაგვხვდნენ, ბებია, ილიკო, ილარიონი, სხვა ბებიები და ბაბუები არ ჩანდნენ. გვითხრეს, მათი თვითმფრინავი უამინდობის გამო კიევში ჩაფრენილა. იქ ბარე სამი დღე უცდიათ და მერე ჩასულან მოსკოვში. ბებია ჩვენი წასვლის მეორე დღეს გამოჯანმრთელებულა, მოსკოვს მიმავალ რომელიღაც მეზობელს აჰკიდებია და ისიც ჩემს „სანახავად“ მოსკოვს ჩაფრენილა.

ასე დამთავრდა ოპერაცია — მე, ბებია, ილიკო, ილარიონი და სხვები.

**ზ. ჯანდიერი.**

## ჭადრაკი

### პარტია გადადებულია

[illegible] ვაჟთა მსოფლიო პირველობაზე კარპოვ—კორჩნოის მატჩში გაიმართა გადადებული 31-ე პარტიის დამთავრება. პარტია დასრულდა 71-ე სვლაზე პრეტენდენტის გამარჯვებით და ამრიგად ანგარიში გათანაბრდა — 5:5.

გაგახსენებთ გადადებულ პოზიციას:

თეთრები (კორჩნოი) — მფd3, ეe2, პპ. a5, c5, d4, f5, g4, h3.

შავები (კარპოვი) — მფf7, ეd8, პპ. b5, b7, c6, f6, g6, h6.

**პარტია ასე გაგრძელდა: 47...gf (ჩაწერილი სვლა) 48. gf ეg8 49. მფc3 ეe8 50. ეd2 ეe4 51. მფb4 მფe7 52. a6 ba 53. მფa5 მფd7 54. მფb6 b4 55. d5 cd 56. ე:d5+ მფc8 57. ეd3 a5 58. ეg3 b3 59. მფc3 მფb8 60. ე:b3+ მფa7 61. ეb7+ მფa6 62. ეb6+ მფa7 63. მფb5 a4 64. ე:f6 ეf4 65. ე:h6 a3 66. ეa6+ მფb8 67. ე:a3 ე:f5 68. ეg3 ეf6 69. ეg8+ მფc7 70. ეg7+ მფc8 71. ეh7. ამ მდგომარეობაში შავებმა საათი გააჩერეს.**

32-ე პარტია, რომელიც 14 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, გადატანილია. ტაიმ-აუტი აიღო მსოფლიო ჩემპიონმა. ეს პარტია უნდა გაიმართოს 17 ოქტომბერს.

### პირველი დამარცხება

**ნიკოლაევი, 14 ოქტომბერი.** მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მერვე ტურში პირველი დამარცხება განიცადა თ. ხუგაშვილმა (ზატულოვსკაიასთან). სემიონოვამ მოუგო პოლნარიოვას, ხოლო ლევიტინამ — ერუსლანოვას. ფათალიბეკოვა — ვორონოვასა და ლისენკო — პედკოს პარტიები ყაიმით დამთავრდა.

რვა ტურის შემდეგ 6 ქულით ლიდერობს სემიონოვა (1 გადადებული პარტია). 6 ქულა აქვს ლევიტინას.

## ტანვარჯიში

### თასისათვის დავაში

**ლატვიის** დედაქალაქ რიგაში სპორტულ მანეჟში პარასკევს დაიწყო და დღეს მთავრდება მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა თასის გათამაშება პირად ტურნირში და საკავშირო ჩემპიონატი ჯგუფურ ვარჯიშებში. სარბიელზე გამოსულ 16 სპორტსმენს შორის არიან ქვეყნის ნაკრების ძირითადი კანდიდატებიც, რომლებიც ერთი თვის მერე მადრიდში ევროპის პირველ ჩემპიონატში იასპარეზებენ.

პირველ ვარჯიშში — სახტუნებლებით ასპარეზობაში დაწინაურდნენ სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონები კიეველი ი. დერიუგინა და ომსკელი გ. შუგუროვა. III ადგილზეა ვოლგოგრადელი ე. ტომასი.

გუშინ გვიან გაირკვა თასის მფლობელის ვინაობა, ხოლო დღეს გამოვლინდება ჩემპიონი ჯგუფურ შეჯიბრებაში.

## თბილისის სპორტულ ბაზაზე

**ფეხბურთში.** საქართველოს პირველობა ჭაბუკთა შორის. 15 ოქტომბერი. „ავაზას“ ბაზა დიღომში. „ავაზა“ (თბილისი) — „განთიადი“ (თბილისი). დასაწყისი 12 ს. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. „დინამო“ (თბილისი) — განათლების განყოფილება (თბილისი). 15 ს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-59; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უე 13322